№ 90 | მთავრობის მოამბე | ყოველდღიური გაზეთი | წელიწადი მესამე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. | შაბათი, 24 აპრილი 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი პირველ გვ. პეტიტის სტრიქონი ტექსტის წინ 4 მან. მე-4 გვ. 3 მ. 50 კ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 140 მ. 1 იანვ. გაზეთი ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1—82.

## სახელმწიფო თეატრი ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით

შაბათს, აპრილის 24-ს, ოპერა მუშებისთვის

## ჰოფმანის ზღაპრები

სამშაბათს, აპრილის 27-ს, ფალიაშვილის ბენეფისი „აბესალომ და ეთერი“. ხუთშაბათს, აპრილის 29-ს, ალეშკოს ბენეფისი „ზაზა“. პარასკევს, აპრილის 30, ორკესტრის ბენეფისი სტაროსტინას მონაწილეობით I. „რიგოლეტო“. II. „ქორწილი მოლოროსიაში“. შაბათს, მაისის 1-ს, ოპერა მუშებისთვის და საოპერო სეზონის დახურვა „ქეთო და კოტე“.

**ამა წლის აპრილის 30-ს დანიშნულია**

## ახალციხის მაზრის ერობის ხმოსანთა მეორე ყრილობა

ასარჩევია 6 უბნის მომრიგებელი მოსამართლე ჯამაგირი 4000 მანეთი თვეში, საგზაო და დღიური ხარჯი უბნის საზღვრებში მიმოსვლისათვის 500 მანეთი თვეში.

მსურველთ შეუძლიათ გამოგზავნონ თხოვნა ქ. ახალციხის სამაზრო ერობის გამგეობის სახელზე.

754 7—2

## საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამა 1920 წლის 15 მაისს, საღამოს 7 საათზედ, გამგეობის ბინაზედ (რესპუბლიკის, ყოფილი პეტრე დიდის ქუჩა, № 8)

**დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა**

## აქციონერთა განსაკუთრებული საზოგადო კრება,

**რომელსაც წარედგინება განსახილველად შემდეგი საგნები:**

1) მოკლე ფინანსიური ანგარიში;
2) სესხის აღება;
3) აქციების ფასის მესამე ხვედრის შემოტანა და 4) მიმდინარე საკითხები.

453 2—2

**გ ა მ გ ე ო ბ ა.**

## მთავრობის მიერ დანიშნული მესხეთში მოსულ რუს მოხალისეთა და ლტოლვილთა კონების ჩამომრთმევი კომისია

განაგრძობს მიღებას ყოველი მომართვის, თხოვნისა და შეკითხვებს პირველ მაისამდის, რის შემდეგ კომისია დაიხურება. მსურველთ შეუძლიან მიმართონ კომისიის მდივანს—სამხედრო სამინისტროს სამნეო განყოფილება კ. დ. ვაშაკიძეს, ბარიათინის ქუჩა № 10.

757 2—1

## ოფიციალური განყოფილება

## დ ე კ რ ე ტ ი

**სვანეთის საექიმო დაწესებულებათა შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებისა.**

1. დამტკიცებულ იქნეს ამა 1920 წლის აპრილის 1-დან სვანეთის საექიმო დაწესებულებათა შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა თანახმად ამ დეკრეტთან დართული ნუსხისა.

2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის საჭიროებისათვის გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში ამა 1920 წლის აპრილის 1-დან ივნისის 1-დე ორას თვრამეტი ათას ცხრაასი (218.900) მ.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

1920 წ. მარტის 30-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ექვ. თაყაიშვილი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

## შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა

**სვანეთის საექიმო დაწესებულებათა 1920 წლის აპრილის 1-დან ივნისის 1-დე.**

| №№ რიგზე. | თ ა ნ ა მ დ ე ბ ო ბ ა. | რიცხვი. | თითეულს თვიურად | თვიურად ყველას | 1920 წ. აპრილის 1-დან ივნისის 1-დე. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ექიმი | 3 | 10000 | 30000 | 60000 |
| 2 | ფერშალი | 8 | 6000 | 48000 | 96000 |
| 3 | დარაჯი | 8 | 900 | 7200 | 14400 |
| 4 | ბინის ქირა | 8 | 300 | 2400 | 4800 |
| 5 | განათება და გათბობა | 8 | 300 | 2400 | 4800 |
| 6 | კანცელარიის ხარჯი | 8 | 150 | 1200 | 2400 |
| 7 | წამლები | — | — | — | 20000 |
| 8 | საგზაო და სხვა წვრილმანი ხარჯი | — | — | — | 16500 |
| | ს უ ლ . . | — | — | 91200 | 218900 |

1920 წ. მარტის 30-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ექვ. თაყაიშვილი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

## დ ე კ რ ე ტ ი.

**მთავრობის სახლის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებისა.**

1. დამტკიცებულ იქნეს ამა 1920 წლის იანვრის 1-დან მთავრობის სახლის შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა დართული ამა დეკრეტთან.

2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის საჭიროებისათვის გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან მთავრობის საქმეთა სამმართველოს განკარგულებაში ამა 1920 წლის იანვრის 1-დან ივნისის 1-დე ორი მილიონი ორას ოთხმოცდა ცამეტი ათას ცხრაას ორმოცდა თხუთმეტი (2.293.855) მანეთი.

3. ამ დეკრეტით დამტკიცებულ შტატზე გავრცელებულ იქნეს დამფუძნებელი კრების ამა 1920 წლის თებერვლის 10-ს დეკრეტით დაწესებული მომატება ჯამაგირისა.

4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აპრილის 2.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ექვ. თაყაიშვილი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

## შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა

**მთავრობის სახლისა 1919 წლ. იანვრის 1-დან ივნისის 1-დე.**

| №№ რიგზე. | თ ა ნ ა მ დ ე ბ ო ბ ა. | რიც. თან. პირ. | თვითეულის თვიური. | ყველას თვიურ. | ყველას 1920 წ. იანვ. 1-დან ივნისის 1-დე. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მთავრობის სახლის გამგე | 1 | 4500 | 4500 | 22500 |
| 2 | გამგის თანაშემწე | 1 | 3500 | 3500 | 17500 |
| 3 | ბუხჰალტერი | 1 | 2500 | 2500 | 12500 |
| 4 | მოანგარიშე | 1 | 1800 | 1800 | 9000 |
| 5 | საქმის მწარმოებელი | 1 | 2000 | 2000 | 10000 |
| 6 | მანქანით გადამწერი | 1 | 1300 | 1300 | 6500 |
| 7 | მეკარე | 10 | 1225 | 12250 | 61250 |
| 8 | ღამის დარაჯი ეზოში | 1 | 2400 | 1400 | 7000 |
| 9 | მეეზოვე | 4 | 1225 | 4900 | 24500 |
| 10 | ზეინკალი | 1 | 2000 | 2000 | 10000 |
| 11 | ზეინკალის შეგირდი | 1 | 950 | 950 | 4750 |
| 12 | დურგალი | 1 | 2100 | 2100 | 10500 |
| 13 | დურგლის თანაშემწე | 1 | 1800 | 1800 | 9000 |
| 14 | იატაკის მწმენდავი | 2 | 1300 | 2600 | 13000 |
| 15 | ელექტრო-მონტიორი | 1 | 2000 | 2000 | 10000 |
| 16 | მეკლიტული | 1 | 1700 | 1700 | 8500 |
| 17 | მესაათე | 1 | 1000 | 1000 | 5000 |
| 18 | მეეტლე | 1 | 1400 | 1400 | 7000 |
| 19 | მოსარეცხე | 1 | 1225 | 1225 | 6125 |
| 20 | შიკრიკი და მწმენდავი | 16 | 1225 | 19600 | 98000 |
| | ჯამი . . | 48 | 36150 | 70525 | 352625 |
| | **სამეურნეო ნაწილი.** | | | | |
| 21 | გათბობა | — | — | 54900 | 274500 |
| 22 | განათება 1) | — | — | 205900 | 1029500 |
| 23 | საგზაო და ტვირთის გადასაზიდი ხარჯი | — | — | 6600 | 33000 |
| 24 | წყლის გადასახადი | — | — | 3424 | 17120 |
| 25 | სახელოსნოებისათვის საჭირო მასალის შესაძენად 2) | — | — | — | 42780 |
| 26 | სახლის შენახვისა, მოწყობისა და ინვენტარის შეძენისათვის 3) | — | — | — | 265530 |
| 27 | საკანცელარიო, სასტამბო და სხვა სამეურნეო ხარჯი | — | — | 10000 | 50000 |
| 28 | მოულოდნელი ხარჯი | — | — | 4000 | 20000 |
| 29 | ჩირაღდნისათვის საჭირო მასალის შესაძენად 4) | — | — | — | 208800 |
| | | — | — | 284824 | 1941230 |
| | ს უ ლ . . . . | — | — | 355349 | 2293855 |

**შენიშვნა:** 1) ფული მიეცეს ერთდროულად.
2) ფული მიეცეს ერთდროულად.
3) ფული მიეცეს ერთდროულად.
4) ფული მიეცეს ერთდროულად.

1920 წ. აპრილის 2-ს

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ექვ. თაყაიშვილი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

## განკარგულებანი

**იუსტიციის მინისტრისა.**

3 აპრილი, 1920 წ., № 101.

რესპუბლიკის მთავრობის ა. წ. მარტის 23-ს დადგენილების ძალით დაინიშნა საქართველოს სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის პროკურორის ამხანაგად კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ჩივაძე ა. წ. მარტის 23-დან.

9 აპრილი, 1920 წ., № 104.

**დაინიშნა:** გორის უბნის გამომძიებლის დრ. აღმასრულებელი ნიკოლოზ ავშაროვი ტფილისის ოლქის სასამართლოს საგნებო საქმეთა გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად აპრილის 9-დან.

9 აპრილი, 1920 წ., № 105.

**დაინიშნა:** გორის 1 უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად ცხინვალის უბნის სასამართლოს გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელი ცერცვაძე ერეკლე ონისიმეს ძე ა. წ. აპრილის 9-დან.

9 აპრილი, 1920 წ., № 106.

**დაინიშნა:** ცხინვალის უბნის სასამართლოს გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად ლეჩხუმის უბნის სასამართლოს გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელი აბაშიძე იასონ ვლადიმერის ძე ა. წ. აპრილის 9-დან.

9 აპრილი, 1920 წ., № 107.

**გადაყვანილ იქმნან** ერთი მეორის ადგილზე: ქოდალოს უბნის სასამართლოს გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელი ტა-

ტიშვილი იოსებ გრიგოლის ძე და ლორის ყზნის სასამართლოს გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელი ტატოსოვი არამ მათეს ძე ა. წ. აპრილის 9-დან.

იუსტიციის მინისტრი **რ. არსენიძე.**

—

**გზათა დეპარტამენტის დირექტორისა.**

27 მარტი, 1920 წ. № 32.

**მტკიცდება:** თანახმად კახეთის რკინის გზის გამგეობის წარმოდგენისა № 72, 24 მარტის თარიღით კახეთის რკინის გზის მმართველის თანამდებობაზე ინჟენერი გრიგოლ ივანეს ძე გვერდწითელი ა. წ. 1 იანვრიდან.

27 მარტი, 1920 წ., № 33.

**მტკიცდება** თანახმად კახეთის რკინის გზის გამგეობის წარმოდგენისა № 72, 24 მარტის თარიღით, კახეთის რკინის გზის მოძრაობის უფროსის თანამდებობზე დავით გრიგოლის ძე პაპიტაშვილი ა. წ. 1 იანვრიდან.

9 აპრილი, 1920 წ., № 38.

**განთავისუფლებულია:** თანამდებობიდან და სახაზინო რკინის გზებზე სამსახურიდან საგანგებო მინდობილობათა ინჟენერი ვასილ ალექსანდრეს ძე მაისუროვი, თანახმად საკუთარი თხოვნისა, ამა წლის 1 აპრილიდან.

№ 39.

დამატებით ბრძანებისა № 24 გორში მიწის ძვრის დროს სამაგალითო მუშაობისათვის რესპუბლიკის მთავრობის სახელით ეცხადება მადლობა მოძრაობის უფროსს რევიზორს მაღრაძეს და ეძლევა ჯილდოთ 1000 მ.

გზ. დეპ. დირექტ. ინჟინერი **ჭ. ჭიჭინაძე.**

13 აპრილი, 1920 წ., № 40.

**მტკიცდება:** ნიკოლოზ ივანეს ძე კვეზერელი-კოპაძე მთავრობის გარაჟის უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად ხუთი ათასი მან. თვიური ჯამაგირის დანიშვნით 1 აპრილიდან ამა წლისა. ამ თანამდებობის გზალტკეცილ. საავტომობილო სახელოსნოების უფროსის თანამდებობის გამოყოფით და ჯამაგირის აღნიშნულ გარაჟისთვის გადადებულ თანხიდან გამოწერით.

გზათა დეპარტამენტის დირექტორი

**ჭიჭინაძე.**

---

## არა ოფიციალური განყოფილება

# მთავრობაში

**13 აპრილის სხდომა.**

სხდომას დაესწრენ: მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე—გეგეჭკორი; მინისტრები: რამიშვილი, ლორთქიფანიძე, არსენიძე, ერაძე; მინისტრთა ამხანაგები: ავალიანი, ქარცივაძე, გედევანიშვილი; დეპარტამენტთა დირექტორები: ჟორდანი, ჭიჭინაძე, ალშიბაია, მდივანი ლომთაძე.

**ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება.**

საგარეო საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა მიღებულ იქმნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

**უცხოელთა აქციონერულ საზოგადოებათა მოქმედების პირობები საქართველოში.**

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს მიენიჭოს უფლება, დაინტერესებულ სამინისტროებთან შეთანხმებით, თუ ამას საჭიროება მოითხოვს, შეიწყნაროს უცხოელთა სააქციონერო საზოგადოებათა შუამდგომლობანი და იხელმძღვანელოს მოხსენებაში აღნიშნულ ძირითადი დებულებით, რომელიც დამტკიცებულ უნდა იქმნას კანონმდებლობითი წესით.

**ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან არსებულ ტეხნიკური კომიტეტის დებულების დამტკიცება.**

1. დამტკიცებულ იქმნას ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მიერ წარმოდგენილი, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან არსებულ ტეხნიკურ კომიტეტის დებულება.

2. გადაიდოს 10 მილ. ფონდიდან ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის განკარგულებაში 27,307 მან. 50 კაპ. ტეხნიკურ კომიტეტის ხარჯების დასაფარავად 1920 წ. მარტის 1-დან ამავე წლის ივნისის პირველამდე.

3. ტეხნიკურ კომიტეტის დებულება და ხარჯთ-აღრიცხვა 1920/21 საბიუჯეტო წლისა გადაეცეს დასამტკიცებლად დამფუძნებელ კრებას.

**სავაჭრო საკრებულოს დაარსება**

დაარსდეს მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან სავაჭრო საკრებულო და დამტკიცებულ იქნას წარმოდგენილი დებულება აღნიშნულ საკრებულოსი.

**სენაკის სამაზრო ერობის წ.წ დეკემბრის 9 და 11-ის დადგენილების დამტკიცება.**

სენაკის სამაზრო ერობის წ.წ. 9 და 11-ის დეკემბრის დადგენილება: მაკარ ვასკოვსკის, ივანე ბესაშვილის და ბესარიონ კოკაიასი, გიორგი ქავთარაძის, ალექსანდრე ბესარიონის ძის მხეიძის, პეტრე დგებუაძის, გიორგი ჩიჩუას, გიორგი ცავას, სოლომონ სვანიძის, ძმ. დავით დ ერასტი ფარნაოზის ძე მხეიძეების, გიორგი ცავას, ბესარიონ კოკავას და ივანე წესაშვილის უძრავ ქონებათა იძულებითი ჩამორთმევის შესახებ დამტკიცებულ იქნას.

**15 აპრილის სხდომა.**

სხდომას დაესწრენ: თავმჯდომარის მაგიერ ე. გეგეჭკორი; მინისტრები· არსენიძე, ერაძე; მინისტრთა ამხანაგები: ავალიანი, ცინცაძე, ჭიჭინაძე, ქარცივაძე, გედევანიშვილი, ჭავჭანიძე: იუსტიციის დეპ. დირ. გ. ჟორდანია.

საქმეთა მმართველი: ქ. ჯაფარიძე, მდივანი დ. დიდებულიძე.

**პროპორციონალი აქციზის ცხრილის დამტკიცება.**

ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრის მიერ წარმოდგენილი პროპორციონალი აქციზის ცხრილი დამტკიცებულ იქმნას.

**კანონ-პროექტების მიღება.**

კანონ-პროექტი სამხედრო ნაფიც მსაჯულთა დებულების შეცვლისა მიღებულ იქმნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

კანონ-პროექტი საქართველოს კულტურულ დაწესებულებათა ფონდის გასაძლიერებლად და დამსახურებულ მოღვაწეთათვის დახმარების აღმოსაჩენად, გასრთობ-სანახაობათა ბილეთების დაბეგვრისა მიღებულ იქმნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

# იუსტიციის სამინისტროში

**სესიები**

ნაფიც მსაჯულთა სესია ფოთში გაიხსნა 14 აპრილს. სესიები დანიშნულია 19 აპრილს სენაკში, 3 მაისს ოზურგეთში, 10 მაისს ზესტაფონში, 31 მაისს ზუგდიდში, 21 ივნისს ონში და 28 ივნისს ლაილაშში და ამრიგად დამთავრდება ქუთაისის ოლქში ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს შემოღება.

**სამომრიგებლო კამერების დათვალიერება.**

იუსტიციის სამინისტროს განკარგულებით დანიშნულია ქ. ტფილისის სამომრიგებლო ყრილობის და მომრიგებელ მოსამართლეთა კამერების საქმეების განხილვა, რაც დაევალა სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის პროკურორს ა. ს. გელაზარაშვილს და სამოქალაქო დეპარტამენტის პროკურორის ამხანაგს პ. ბ. კიზირიას.

**დანიშვნები.**

დაინიშნენ: იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის საინსპექტორო განყოფილების უფროსი ა. ს. ყიფიანი—სოხუმის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგად, საინსპექტორო განყოფილების უფროსად—იმავე განყოფილების უფროსის თანაშემწე ე. ლ. ყარანგოზიშვილისა, კანონების გადამსინჯავ კომისიის მდივნად—ს. ნ. ფალავა.

**საპყრობილეს რევიზია.**

იუსტიციის მინისტრის განკარგულებით დანიშნული რევიზია ტფილისის № 1 საპყრობილესი ამ დღეებში დამთავრდება. ადმინისტრაციის ნაწილის რევიზიას ხელმძღვანელობს პალატის პროკურორი მ. ტატიშვილი, სამეურნეო ნაწილისას—სამინისტროს მოხელე დ. ჩიქოვანი.

**მოქმედ კანონმდებლობის გადასინჯვა**

უახლოეს დღეებში იუსტიციის სამინისტროსთან დაიწყებს მოქმედებას მოქმედ კანონმდებლობის გადამსინჯავი კომისია. კომისიაში თავმჯდომარეობას გასწევს თვით მინისტრი რ. მ. არსენიძე.

# მიწათ-მოქმ. სამინისტროში

**სათესლეების შეძენა.**

მიწათ-მოქმედების სამინისტრომ გადასწყვიტა ფრიდონოვის ფირმისგან შეიძინოს მევენახეობის და მებაღეობისთვის საჭირო საგნები.

**ზეთეული მცენარეულობა.**

მიწათ-მოქმედების სამინისტროს მიერ მიღებულია ზომები, რომ ზეთეულ მცენარეთა კულტურის გავრცელება მკვიდრ ნიადაგზე დააყენოს. ამ მიზნის განსახორციელებლად მიმართავენ ორ გვარ ზომას: ერთი—რომელსაც უფრო არსებითი და ძირითადი მნიშვნელობა აქვს, განხილული იქნება ახლო მომავალში ბ-ნ როლოვის მოხსენებასთან ერთად, რომელიც ეხება ტეხნიკურ მცენარეთა კულტურულ ორგანიზაციის საკითხს. რაც შეეხება მეორე ზომას დაუყოვნებლივ შემდეგი ზომები უნდა იყოს მიღებული: 1) ბამბის თესლის შესაძენად აძერბეიჯანში გაიგზავნება სპეციალურად ამ საგნისთვის ერთი პირი, რომელსაც დავალებული ექნება შეიძინოს კონჟუტის თესლის საკმარისი რაოდენობა, როგორც სამინისტროს მამულებში დასათესად ისე ქარხანა ჟირომაზისთვის იმ პირობით მხოლოდ რომ ნაშენი ქარხანამ აუცილებლად სათესლედ გამოიყენოს; 2) ეცნობოს ბორჩალოს მაზრის ერობას, რომ ამ ჟამად სამინისტროს აქვს ბამბის თესლი, რომელსაც იგი შეღავათიან ფასებში დაუთმობს ერობას, ამ მცენარის კულტურის გავრცელების მიზნით. რადგან თესლის გაყიდვის დროს რაოდენი დანაკლისი (მაგ. დაბნევა, გაშრობა და სხვა) აუცილებელია, ამიტომ მიღებული იქნება დანაკლისის ნორმად გადაცემულ თესლების 3—5 %-მეტი მიცემა; საოპერაციო ხარჯების დასაფარავად კი შეძენის კასებს მიემატება 10%.

**ბორჩალოს მაზრის კულტურული მამულები.**

მიწათ-მოქმედების სამინისტროს დადგენილებით ბორჩალოს მაზრაში კულტურულ მამულთა მისაღებად იგზავნება სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალება ყოფილ მესაკუთრეთათვის ნორმის გამოყოფა. ამ კომისიაში შევა აგრეთვე სამიჯნაო განყოფილების წარმომადგენელიც. კომისიას მიეცემა სათანადო ინსტრუქციები, რომ ყოფილ მემამულეთა ჩამორთმეულ ნორმის ზევით მიწები გადავიდეს სახელმწიფო ფონდში, რომლიდანაც მერძეობის მიმდევარ მემამულეთ უფლება ექნებათ ნორმაზე ზევით აიღონ მიწები იჯარით შემდეგი ანგარიშით: 2 სულს მსხვილს ან ოთხ, ხუთ სულს წვრილ საქონელზე—1 დესეტინა მიწა. ადგილობრივ მეურნეობის განსაკუთრებულ ხასიათის გამო (მესაქონლეობა, მერძეობა) ადგილობრივ მცხოვრებლებს მიწები საკუთრად არ გაუნაწილდებათ..

# ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების კონფერენცია.

**22 აპრილის სხდომის ოქმი № 5.**

(დასასრული)

თანამედროვე მდგომარეობიდან ორი გამოსავალია ან დაუბრუნდეთ მდგომარეობას ანტე-ბელუმ" როგორც ყარაბახში აგრეთვე ზანგეზურში, ან და მივიღოთ თანამედროვე ფაქტიური მდგომარეობა, დავრწმუნდეთ შეტაკებათა შეწყვეტაში და მოვსპოთ ისინი თუ ჯერაც არ არის შეწყვეტილი.

**გ. ს. ლორთქიფანიძემ** წამოაყენა შემდეგი რეზოლიუცია: აძერბეიჯანის სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკათა კონფერენციამ 1920 წლის 12 აპრილის სხდომაზე დაადგინა: დაუყონებლივ აღდგენილ იქნას სავსებით ის უფლებრივი სტატუსი, რომელიც შეტაკებამდე არსებობდა და დამყარებული იყო სომეხ-აძერბეიჯანისა და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენციებისა და აგრეთვე ეროვნული საბჭოების სათანადო მთავრობებთან შეთანხმების ნიადაგზე.

**ლ. მ. კრიჩინსკი:** 22 აგვისტოს შეთანხმების რამდენიმე მუხლი, დაირღვა ეხლა შეიძლება საკითხი დაისვას იმ საზღვრებისაკენ დაბრუნების შესახებ, რომელიც 23 ნოემბრამდე, როგორც უკანასკნელ თარიღამდე იყო, რომელიც ჩვენ გვინდა ჩვენი თვალსაზრისის გამოსავლად ავიღოთ და საზღვრების გამორკვევის სახით ჩვენი ფაქტიური მდგომარეობა დავამყაროთ.

**დ. ბ. ბეკზადიანი:** მე ვფიქრობ, როა აძერბეიჯანს არ ეპყრა ყარაბახი, რომ ეს ასე ყოფილიყო მაშინ არ შეიძლებოდა მცხოვრებლებთან შეთანხმებაზე ლაპარაკი ყოფილიყო, მაშასადამე აქ არა მფლობელობა, არამედ ერთგვარი შეთანხმებაა განსაკუთრებულ პირობებში. და თუ ეს შეთანხმება ამა თუ იმ მხარის მიერ არის დარღვეული უნდა აღდგენილ იქნა "სტატუსქვო„ შეტაკებებამდის ე. ი. ის დებულებანი, რომლის დროსაც ყარაბახი იქნება აძერბეიჯანის მფლობელობაში, ეროვნულ საბჭოსთან შეთანხმების იმავე საფუძვლებზე.

**კრიჩინსკი.** ყარაბახის ეროვნულ საბჭოსთან 22 აგვისტოს მომხდარი შეთანხმება არ შეიძლება განვიხილოთ როგორც საერთაშორისო ხასიათის აქტი—ეს არის საინსტრუქციო ხასიათის შინაგანი მართველობის აქტი.

**ტ. ა. ბეკზადიანი.** ნება მომეცით გამოვაქვეყნო ეს აქტი და თქვენ დაინახავთ, რომ ეს არის არა შინაგანი მართველობის ინსტრუქცია არამედ შეთანხმება საერთაშორისო ხასიათისა, ამასთანავე დროული და აძერბეჯანის მთავრობის მიერ მოწონებული.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ აქტი ჩვენ ხელთ არა გვაქვს და იგი იძლევა კითხვას, იყო თუ არა ფაქტიურად აძერბეიჯანის მართველობა ყარაბახში 22 აგვისტომდე. ირკვევა, რომ აძერბეიჯანის მთავრობა იქ შესულა ამ შეთანხმების შემდეგ.

**ხ. ა. ხაჩატურიანი.** რადგანაც თქვენ აღიარებთ რომ უნდა დაუბრუნდეთ 23 ნოემბრამდე არსებულ მდგომარეობასო, ამ ფორმულაში შედის 22 აგვისტოს შეთანხმებაც, ამიტომ მე დავეთანხმებოდი იმას, რომ განსაკუთრებით არ ყოფილიყო ნახსენები 22 აგვისტოს აქტი, რადგანაც ვფიქრობ, რომ ეს იგულისხმება თავის თავად, მაგრამ რადგანაც ამ მდგომარეობას უარყოფენ, ამის შესახებ განსაკუთრებით უნდა მოვიხსენიოთ.

**ლ. ბ. კრიჩინსკი.** მას შემდეგ რაც ყარაბახმა, 22 აგვისტოს აქტით აძერბეიჯანის უფლება აღიარა, ყარაბახის საკითხი აძერბეიჯანის მთავრობისათვის შეიქნა შინაგან საკითხათ, და თუ აქ აღნიშნავენ, რომ ყარაბახს სავსებით განსაკუთრებული მდგომარეობა უჭირავს, ამით ქმნიან სახელმწიფოს—სახელმწიფოში.

**ტ. ა. ბეკზადიანი** კითხულობს, სცნობს, თუ არა იგი 22 აგვისტოს აქტს იურიდიულ აქტათ.

**ლ. ბ. კრიჩინსკი.** ეს აქტი იურიდიულია, მაგრამ აჯანყების შემდეგ ეს აქტი მოისპო.

**ტ. ა. ბეკზადიანი** ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ აქტმა თავისი არსებობა უნდა განაგრძოს.

**ე. პ. გეგეჭკორი.** აქ ორი თვალსაზრისი შეეჯახა ერთი მეორეს ორივე ერთგვარად ლოღიკური.

**ლ. ბ. კრიჩინსკი:** იმ თვალსაზრისიდან გამოდის, რომ ყარაბახი აძერბეიჯანის განუყოფელი ნაწილია. იყო ერთგვარი შეთანხმება, შემდეგ მოხდა აჯანყება და ეხლა აძერბეიჯანის მთავრობის საქმეა თუ აქ როგორი მდგომარეობა შეიქნება. მეორე თვალსაზრისია, რომ ყარაბახი იყო განსაკუთრებულ დამოკიდებულებაში აძერბეიჯანის მთავრობასთან—და ეს დამოკიდებულება უნდა იქნეს აღდგენილი. ჩვენ რომ პირველ თვალსაზრისს დავდგომოდით კონფერენცია ვერ გამოიტანდა თავის გუშინდელ გადაწყვეტილებას, ჩვენ ეხლა უნდა ვსთქვათ, რომ უნდა აღდგენილ იქმნას ის მდგომარეობა, რომელიც შეტაკებამდე არსებობდა. ჩვენ უფლებამოსილი ვართ, რომ ეს გავაკეთოთ. ხომ ამაზეა დაყრდნობილი 23 ნოემბრის შეთანხმებაც, რომელსაც ორივე მხარე სცნობს, რადგანაც ყარაბახის მიმართ, ან სხვა საკითხში დაშვებული იყო 23 ნოემბრის დადგენილ წესის დარღვევა, ჩვენ, კონფერენციამ წესრიგის აღდგენისაკენ უნდა მოვუწოდოთ იმ მხარეს, რომელმაც ეს დაარღვია. მოხდა იქ აჯანყება, თუ მცხოვრებლების მიერ ჯარებზე თავდასხმა, ან ძალით განიარაღებას შეუდგნენ—ეს არის კითხვები, რომელნიც კონფერენციამ უნდა განიხილოს მომავალში. ჩვენ უნდა დაუბრუნდეთ იმ მდგომარეობას, რომელიც ერთხელ კიდევ დადასტურებული იყო 23 ნოემბერს და უნდა აღვნიშნოთ ის, რომ ეს შეთანხმება 22 აგვისტოს შეთანხმებას შეიცავს.

**გ. ს. ლორთქიფანიძე** კვლავ აყენებს თავის ფორმულას.

**ა. ი. ოგანჯანიანი:** ჩვენ ისეთი დადგენილებები არ უნდა გამოვიტანოთ, რომელიც სხვა და სხვა საბაბს მოგვცემს. მე მოვითხოვ, რომ ფორმულაში შეტანილი იყოს 22 აგვისტოს შეთანხმება.

**გ. ბ. აგაევი.** როდესაც ლაპარაკობენ 23 ნოემბრის უფლებრივ „სტატუსის" აღდგენის შესახებ, ამაში შედის ყველა წინანდელი შეთანხმებანი.

**ა. ი. ოგანჯანოვი.** მე ამას დაჟინებით მიტომ ვადგივარ, რომ ოლგერდბეიმ განაცხადა: რადგანაც შეტაკება მოხდა 22 აგვისტოს შეთანხმება აღარ არსებობსო. არც ისე ბევრი იყო შეთანხმება. იყო მხოლოდ ეს ორი შეთანხმება 22 აგვისტოსი და 23 ნოემბრისა. მე ვერ ვხედავ მათი ჩვენს ფორმულაში შეუტანლობის მიზეზს.

სხდომა შესწყდა ორივე მხრისათვის მისაღებ ფორმულის გამოსამუშავებლად. შესვენების შემდეგ თავმჯდომარე კითხულობს შემდეგ ფორმულას, რომელსაც უერთდებიან სომხეთისა და აძერბეიჯანის დელეგაციები დაუყონებლივ აღდგენილ იქნას სავსებით ის

უფლებრივი „სტატუსი“, რომელიც არსებობდა შეტაკებამდის და დაფუძნებულია სომხ-ადერბეიჯანის და ამიერ-კავკასიის კონფერენციებზე და აგრეთვე ეროვნულ საბჭოების სათანადო მთავრობებთან მიღწეულ შეთანხმებების საფუძველზე.

ამის შემდეგ **გ. ბ. აგაევი.** კითხულობს დეპეშის ტექსტს, რომელიც ეს არის მიიღეს ყაზახიდან სომხების მიერ დროებითი ზავის დარღვევის შესახებ. დეპეშას აკერებენ საქმეს.

**ე. პ. გეგეჭკორი** წინადადებას იძლევა ამ დეპეშის პირი გადასცენ სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრს და სთხოვა მას სათანადო ზომების მიღება.

თავმჯდომარე წინადადებას იძლევა გადვიდენ საკითხებზე იმ კომისიების შესახებ, რომელნიც ადგილობრივ უნდა წავიდნენ და გამოარკვიონ განხორციელებულია, თუ არა კონფერენციის გადაწყვეტილებანი.

**ე. პ. გეგეჭკორი** მოითხოვს ამ დელეგაციების გაგზავნას. 1. კონფერენციას უნდა ჰქონდეს ადგილობრივ თავისი ორგანოები კავშირისათვის, 2. კომისიას ადგილობრივ შეუძლია კეთილმყოფელი ფსიქოლოგიური ზედგავლენა მოახდინოს და შეკუმშული ატმოსფერა გაფანტოს, 3. ჩვენთვის აუცილებელია მივიღოთ მასალა რომლის და მიხედვით ჩვენ უნდა მივიღოთ ესა თუ ის ზომა. ჩარევა ისეთს კომპეტენტურ ორგანოსი როგორიც არის კონფერენცია, აუცილებლობას წარმოადგენს.

გადავდივარ რა რწმუნებულების საკითხზე მე უნდა გავაცხადო, რომ კომისიას უნდა ჰქონდეს ყოველივე რწმუნებულება, როგორც კონფერენციას. შეტაკებათა შესაწყვეტათ მას შეუძლია ჩაერიოს იქ, სადაც ჯერჯერობით ეს შეწყვეტილი არ არის ამას გარდა მან უნდა გამოარკვიოს ამ მოვლენათა მიზეზები და ხასიათი. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ უნდა შევქნათ ორი კომისია: ერთი წავა სომხეთში, მეორე ადერბეიჯანში.

**გ. ხ. ლორთქიფანიძის** აზრით უნდა იქნეს ერთი კომისია ექვსი პირისაგან შემდგარი, რომელიც სამ სამი პირისაგან შემდგარ ორ ავტონომიურ სექციათ განაწილდება.

**ა. ი. ოგანჯანიანი:** ყველა თანახმაა იმასა, რომ კომისიას ჰქონდეს ფართო რწმუნებულება თავისი მიზნების ასასრულებლად. საკითხია მხოლოდ მისი მიზნების შესახებ. მე მგონია, რომ საანკეტო მიზნები და მიზეზთა გამორკვევა თავის თავად მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ შემთხვევაში კომისიის მუშაობას მეტათ გააძნელებს და გააგრძელებს. ჩვენი უმთავრესი მიზანია კონფერენციის დადგენილებათა ასრულება. 1. შეტაკებათა შეწყვეტა, 2. „სტატუს-ქვოს“ აღდგენა. ეს ორი საქმე იმდენათ მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი მოქმედება ამით უნდა განვსაზღვროთ. ისტორიული ფუნქციები კი, რომელნიც თავისდა თავად მნიშვნელოვანია ჩვენ შეგვიძლია, თუ ეს საჭიროა, გადავცეთ სხვა კომისიას, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ჩვენ უმთავრესს მიზანს დააბრკოლებს.

**გ. ა. აგაევი.** იცავს კომისიისათვის საანკეტო რწმუნებულების მინიჭების საჭიროებას.

**ე. პ. გეგეჭკორი.** ვეთანხმები რა ოგანჯანიანს, რომ საანკეტო ფუნქციები კომისიის მუშაობას გააძნელებს, მაინც ვფიქრობ, რომ ეს საკითხი მას უნდა დაევალოს, მაგრამ პირველად ყოვლისა, რა თქმა უნდა, კომისია უნდა შეუდგეს ჩვენი დადგენილებების განხორციელებას და მათი ასრულების კანტროლს, ამ მხრივ, მე წინადადებას ვიძლევი, რაც შეიძლება ფართო რწმუნებულება მივცეთ.

**ტ. ა. ბექზადიანი.** ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ ამ ფართო რწმუნებულებისა და მასთან საანკეტო რწმუნებულების მინიჭებისა, მაგრამ მათი ერთად შეერთება არ არის საჭირო. საანკეტო ფუნქციები თხოულობს სხვა გვარ შრომას, რომელიც მას პირდაპირ და უმთავრეს მიზნის ასრულებას ხელს შეუშლის. შეიძლება ამ მიზნისათვის შევჰქმნათ განსაკუთრებული საანკეტო კომისია.

**გ. ხ. ლორთქიფანიძე.** წინადადებას იძლევა აღნიშნონ, რომ კომისია გზა და გზა შეძლებისა და გვარად საანკეტო მუშაობასაც გასწევს.

**ს. ბ. კრიჩინსკი.** საჭიროა თანასწორათ დავისახოთ ორივე ფუნქცია, როგორც სისხლის ღვრის შეწყვეტის შესახებ კონფერენციის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებისა, აგრეთვე საანკეტო მუშაობის შესახებ.

**ე. პ. გეგეჭკორი.** მეც ვფიქრობ, რომ ერთ კომისიას შეიძლება ორივე ფუნქციის შესრულება მივანდოთ, რა თქმა უნდა, თავდაპირველად იგი შეუდგება კონფერენციის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებასა და კონტროლს და შემდეგ კი იმ მიზეზთა გამორკვევას, რომლებმაც შეტაკებანი გამოიწვია. ცხადია, კომისიას ადგილობრივ ექნება თავისი ორგანოები, რომლებიც ამ მუშაობაში მას დაეხმარება. მე მიუღებლად ვსთვლი წინადადებას იმის შესახებ, რომ კომისია შეუდგეს განხილვას გზა და გზა და შეძლების დაგვარათ.

**ა. ი. ოგანჯანიანი.** მე დაჟინებით არ მოვითხოვ ჩემი წინადადების მიღებას, მხოლოთ ვფიქრობ, რომ ეს ხელს შეუშლის ჩვენი მუშაობის სისწრაფეს.

მიიღეს შემდეგი ფორმულა: კონფერენცია ირჩევს 6 კაცისაგან კომისიას, რომელიც: 1. ადგილობრივ გატარებას და კანტროლს გაუწევს კონფერენციის დადგენილებათა ასრულებას, რომელიც ეხება სისხლის მღვრელ შეტაკებათა მოსპობას და სტატუს-ქვოს ანტეს შეტაკებათა აღდგენას. 2. გამოარკვიოს მომხდარი მიზეზები და სურათი შეტაკებისა.

თავმჯდომარე კითხვას სვამს კომისიის შემადგენლობის და ვადის შესახებ, როდესაც კომისია უნდა გაემგზავროს. დაადგინეს: ყოველი დელეგაცია ირჩევს ორ წევრს კომისიაში და შემდეგში წევრთა რიცხვი შეიძლება გადიდებული იქნას. წინადადება მიეცა დელეგაციებს შემდეგი სხდომისათვის წარმოადგინონ კომისიაში დასანიშნავ პირთა სია.

დაადგინეს დასაბეჭდათ გაამზადონ გუშინდელი და დღევანდელი სხდომის ოქმები, დაადგინეს აგრეთვე, რომ კონფერენციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი ამცნონ მოკავშირეთა მისიებს.

შემდეგი სხდომა ინიშნება ხვალ დილის 11 საათისთვის. თავმჯდომარე მამიკონიანი.

# უცხოეთი

### სპარსეთი.

ტეგერანიდან იტყობინებიან, რომ სპარსეთი აღარ არის შახის სამფლობელო, იგი შეიქნა ბრიტანეთის ახალშენი.

70000 კაცისაგან შემდგარი ჯარი, რომელიც იყო ინგლისელთა კონტროლის ქვეშ დანიშნულია ინდოეთის დასაცავათ.

თუმცა შტაბში არის ბევრი სპარსელი აფიცერი, რომლებიც შეადგენენ ბრიტანეთის გენერლის სალმის ამალას, მაგრამ გამგებლობა ინგლისელთა ხელშია.

ყველა საადმინისტრაციო ორგანოებს ეტყობა ინგლისის პოლიტიკის ძლიერი გავლენა.

სპარსეთში შემოზიდულია ბევრი ინგლისური ფული, რომლის კურსი დიდია, სხვა ფულის კურსი კი ძლიერ მცირეა და თან და თან ეცემა.

### სპეკულიაციასთან ბრძოლის ახალი საშუალება.

ბულგარეთში ახალი ზომებია მიღებული სპეკულიანტების წინააღმდეგ.

დამნაშავეს მიაკრავენ გულზე წარწერას: „მე სპეკულიანტი ვარ, მძარცველი“, შეუკრავენ უკან ხელებს და ატარებენ ქალაქში. ამ საშუალებამ კარგი შედეგი მოუტანა.

(„გოლოს როსიი“).

# დეპეშები

### (საქართვ. დეპეშათა სააგენტო)

### როსტოვში.

**სარატოვი.** 20 აპრ. ნავთის სათბობი მასალათ გამოყენების საკითხი სასურველად სწყდება. ასტრახანში მოვიდა 500 ათასი ფუთი ნავთი, რომელიც უნდა გაიგზავნოს ზევით ვოლგაზე.

საბჭოთა სამეურნეო ქიმიურ ქარხანაში კალის დამზადების საქმეს აწყობენ.

**ოდესა.** სოფელ დალნიკის მცხოვრებლებმა დადგენილება გამოიტანეს ლოთობის მოსპობისა და არაყის გამოხდის წინააღმდეგ. გადასწყვიტეს ლოთებს აუკრძალონ მიწით სარგებლობა, არ მისცენ მათ სურსათ-სანოვაგე და რიგ გარეშე გააგზავნონ სამუშაოზე.

### მოხალისეთა ბედი.

**ოდესა.** 19 აპრ. ყირიმში მოხალისეთა ჯარისათვის უკანასკნელი დღეები დადგა.

**როსტოვი.** 17 აპრ. გენერალი ვრანგელი თეთრი ჯარის უიმედო მდგომარეობის გამო მთელი თავისი ოჯახით გერმანიაში გაიქცა.

### საფრანგეთის ექსპორტი და იმპორტი.

საფრანგეთის ახალშენების ექსპორტისა და იმპორტის შესახებ ახლად გამოქვეყნებული ანგარიშები გვიჩვენებს, რომ ახალშენები ჰყიდდენ ზოგიერთ სურსათს იმ დროს, როდესაც ეს საფრანგეთს ესაჭიროებოდა. ზოგიერთი სურსათის ნაკლებობისა და ცხოვრების გაძვირების გამო თითეული ფრანგისათვის მეტად საინტერესო საკითხია. ეს „ექსცელსიორი“ კითხულობს: რათ უნდა არსებობდეს ასეთი მდგომარეობა? ახალი კალედონიიდან გამოტანილი იყო სხვა ქვეყნებში 50,110 ფუთი პირველ საჭიროების სურსათი, იმ დროს, როდესაც საფრანგეთში მხოლოდ 200 ფუთი იყო შეტანილი. ეს ერთი მრავალი ილიუსტრაციისაგან მაჩვენებელია იმისა, თუ ახალშენები რამდენათ საზარალოდ მოქმედებენ საფრანგეთისათვისო.

ამერიკის საელჩოს შეატყობინეს, რომ შეერთებული შტატები არავითარ შემთხვევაში არ იქნებიან წარდგენილი ხალხთა ლიგის იმ კომისიაში, რომელიც რუსეთის მცხოვრების პირობებს იკვლევსო.

### გერმანიის ნოტები.

გერმანიის დელეგაციამ საზავო კონფერენციის სამდივნოს გადასცა სამი ნოტა სანრემოში გასაგზავნათ. პირველი წარმოადგენს გერმანიის მთავრობის პასუხის ასლს საერთაშორისო კომისიისადმი მილიციის შესახებ. მეორე—ნეიტრალურ ზონაში გერმანიის ჯარის რაოდენობის შესახებ. გერმანიის მთავრობა ითხოვს ნებართვას ჰაერში მფრინავ ჯარის, საფრენი აპარატების და არტილერიის გადიდების შესახებ. მესამე ნოტით გერმანია ითხოვს: 1) რომ მთავრობის ჯარის რაოდენობა გადიდებული იქნეს 200.000 კაცამდე, 2), (სიტყვა დამახინჯებულია) მომქმედ კადრებისა, 3) არტილერიის გადიდებას და მე-4 რკინის გზის საზოგადოებებისა და საჰაერო ორგანიზაციებისადმი დახმარებას. საფრანგეთის გაზეთები ერთხმად ამბობენ, რომ გერანიის ეს წინადადებები მიუღებელიაო. არც ავიაცია, არც მძიმე არტილერია, სწერს „პტიჟურნალი“, არ არის საჭირო არმიისთვის, რომელიც სახელმწიფოს შინაურ წესრიგის უზრუნველსაყოფათ არის დანიშნული, ნამდვილად გერმანიას სურს თავდამცველ არმიის დიდი ძალა იყოლიოს. მოკავშირეებმა ძლიერ კარგად იციან, თუ როგორ საშიშროებას წარმოადგენს მათთვის ამ მოთხოვნილების ასრულება.

### ოსმალეთის საკითხების განხილვა.

სან-რემოდან იუწყებიან, რომ უმაღლესმა საბჭომ განიხილა ოთხშაბათ დილით ოსმალეთის სამხედრო, საზღვაო და საჰაერო კომისიის შემადგენლობა და სამხედრო და საზღვაო ექსპერტებს გადასცა აუცილებელი ინსტრუქციები, რომელნიც საზავო ხელშეკრულების ასრულებას შეეხება. შემდეგ განიხილეს კომისიის ოსმალეთში რევიზიციის უფლების შეზღუდვას საკითხი შემდეგ მოაწესრიგეს კურდისტანის საკითხი. ორშაბათს უმაღლესი საბჭო განაგრძობდა ოსმალეთთან დასადებ ხელშეკრულების პირობების განხილვას. შემდეგ მოუსმინეს გამოსარკვევ ტეხნიკურ საკითხების შესახებ სამხედრო და საზღვაო ექსპერტებს, სხდომა ზოგიერთ ტერიტორიალურ საკითხის განხილვით დასრულდა.

### გერმანიის ტონაჟი.

„პტი პარიზიენი“ შემდეგს ცნობებს იძლევა ამ ჟამად ლონდონში საფრანგეთისა და ინგლისის შორის მომხდარ მოლაპარაკებაზე, რომელიც გერმანიის ტონაჟის განაწილებას შეეხება: მარტის დამლევს ლონდონში უკანასკნელ თავის მოლაპარაკების დროს საფრანგეთის საზღვაო მინისტრი ბინიონი ინგლისის მთავრობას პრინციპიალურად შეუთანხმდა გერმანიის ტონაჟის რაოდენობის შესახებ, რომლის გადმოსაცემად მოკავშირეები მზათ არიან იმ პირობით, რომ ჩვენმა გემის მეპატრონეებმა გადაიხადონ მისი ფასი, მაგრამ გადახდის წესის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღიათ. „პტი პარიზიენი“ რწმენით აღნიშნავს, რომ ამ საკითხში კრიტიკული მომენტი გადალახულია და შეთანხმებას ხუთშაბათ დილით ხელს მოაწერენ. შეთანხმება, რომლის თანახმაა ინგლისის მთავრობა იმაში მდგომარეობს, რომ გემების გადასახადი, რომელიც ჩვენ უნდა დაგვებრუნებია, მაგრამ ჩვენ დაგვიტოვეს, სახელმწიფოს აღორძინების კასის სახელზე ვალის გადატანით განხორციელდება.

### სომხეთის მანდატი.

„პტი პარიზენმა“ სან-რემოდან თავის კორესპოდენტისაგან შემდეგი ცნობები მიიღო: როგორც სჩანს, გადაწყვეტილია, რომ სომხეთის მანდატში, რომელიც ნეიტრალურ სახელმწიფოს უნდა მინდობოდა გადაეცემა ჰოლონდიას, რომელმაც პრინციპიალურათ თანხმობა განაცხადა იმ პირობით, რომ მარტო მას არ დაევალოს ფინანსიური სიძნელენი, იმედი აქვთ, რომ ამერიკა, რომელიც აქამდე ძლიერ დაინტერესებული იყო სომხეთით და რომელმაც მანდატზე უარი განაცხადა ფინანსიურად მაინც დაეხმარებაო.

### ბელგიის მთავრობის მადლობა.

დეპუტატთა პალატის თავმჯდომარემ პერემ ხუთშაბათს პალატას აუწყა ბელგიის საგარეო მინისტრის წერილის შინაარსი, რომელიც ბელგიის მთავრობის მადლობას შეიცავს ბელგიის მთავრობის მიმართ მხურვალე სიმპატიებისათვის რომელიც დეპუტატთა პალატამ და სენატმა გამოაცხადა ბელგიის ჯარის ფანკფურტში გაგზავნის გამო თქვენი სახელით, ბატონებო, დაუმატა რაულ პერემ.

# ქალაქის თვითმმართველობაში.

### უკანასკნელი დადგენილებანი.

— ნოე ჟორდანიას სახელობის, ჩუღურეთის სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დასახმარებლად ქალაქის გამგეობამ გადასდო 5000 მანეთი.

— ს. დ. ქალთა ორგანიზაციის ბიუროს შუამდგომლობა, რომელიც ქალაქის გამგეობისგან ითხოვდა 26 აპრილს სახალხო სახლში მსახიობ ქალის ნინო ჩხეიძის პატივსაცემ გასამართ წარმოდგენაზე ბილეთების ფასის მომატებას—უარყოფილ იქმნას.

# ჩაქვის ხიდის აფეთქება

შინაგან საქმეთა სამინისტრომ შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო რკინის გზის მილიციის უფროსი ბერძენიშვილისაგან:

„მივიღე რკინის გზის მილიციის უფროსისაგან დეპეშა, რომელიც გამოგზავნილია დღეს დილის 3 საათზე და 30 წუთზე და რომლითაც გვატყობინებენ, რომ ღამის 22-23 აპრილს 24 საათზე და 54 წუთზე ბოროტ-მოქმედებს აუფეთქებიათ ირგვლივ რკინის გზის ხიდი 45 საჟენი, რომელიც იმყოფება ქობულეთს და ჩაქვის შუა 68 ვერსზე. დაწვრილებითი ცნობები არ მიმიღია“.

ამ საქმის დაწვრილებით გასაგებათ, შინაგან საქ. სამინისტროს დირექტორი გუშინ დილის 9 საათზედ პირდაპირი მავთულით დაელაპარაკა ჩაქვის სადგურს. გამოირკვა, რომ ნაშუადღევის 1 საათ. შემდეგ, როცა ყველა მატარებლები უკვე გავლილი იყო მოეწყოთ აფეთქება, ხიდი სავსებით გაფუჭებულია 10 საჟენის მანძილზე, მაგრამ იმედია ორ დღეში ხიდი აღადგინონ. ამ საქმის გამოსარკვევად გაემგზავრნენ: იუსტიციის სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი ბ. ჟორდანია, ტფილისის საოლქო სასამართლოს ბრალდებელი მ. ტატიშვილი და სისხლის სამართლის მილიციის უფროსი პლ. ფაჩულია.

# მიწის ძვრისაგან

### დაზარალებულთა სასარგებლოდ.

ბიულეტენი № 6.

მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ მთავარ ბიუროში შემოვიდა: ღვინო გასტრონომიულ და საბაკალეო მოვაჭრეთა კავშირისაგან 4930 მ., არჩილ რუხაძის მიერ შეგროვილი 20,000 მ., ივ. გომართელის მიერ შეგროვილი 46,256 მ., ნ. ქართველიშვილისაგან რუსთაველის სახელობის მესამე სკოლის მოწაფეთა შორის შეგროვილი 1,033 მ., გაზ. „საქ. რესპ.“ რედაქციაში შეგროვილი 3000 მ., მღებართა ცეხისაგან 250 მ., ბენია ჩხიკვიშვილის მიერ შეგროვილი 25,000 მან., ბორჩალოს მაზრის მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა კომიტეტისაგან 18,189 მ. 75 კ., გუდაუთის ქალაქის გამგეობის მიერ გადმოგზავნილი არჩ. ჯაჯანაშვილის ხელით 86,288 მ., რესპუბლიკის სახელმწიფო კანტროლის მოსამსახურეთა შორის შეგროვილი ქ. ყიფიანის ხელით 38,096 მ., გაზ. „სახალხო საქ.“ მოსამსახურეთაგან შეგროვილი 460 მ., გაზ. „საქართვ. რესპ.“ რედაქციაში შეგროვილი 3,800 მ., არტემ ოლანეზოვისაგან 300 მან., აბანოებში მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირისაგან 11,800 მან., გაზ. „ერთობის“ რედაქციისაგან სხვა და სხვა პირთა შორის შეგროვილი 188,000 მ. მარკუსის მიერ შეგროვილი 1000 მან., სამტრედიის დაბალ და მაღალ დაწყებითი რკინის გზის სასწავლებლების გამგესაგან ვარლამ ვაშაკიძის მიერ შეგროვილი—22,992 მან. 50 კაპ., ოჩემჩირის მაღალ დაწყებითი სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოსაგან—21,000 მან., მექუდეთა ამქარის მამასახლისისაგან ბ. მაისურაძისაგან 770 მან., ტყიბულის სამთო სამრეწველო საზოგადოების „ნახშირა“-საგან—10,000 მ., სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის ბიუროს თავმჯდომარის ბ. ბურჯანაძისაგან —40,648 მან., დუშეთის მაზრის გორის დამხმარე კომიტეტისაგან—27,000 მან., პროფესიონალურ კავშირის ცენტრალურ საბჭოს

სეკრეტარიატისაგან—93,532 მან., 19 კაპ., ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის მომღერალ გუნდის გამგეობისაგან—462 მან., ტფილისის პროფესიონალურ კავშირის საბჭოსაგან—192,951 მან. 27 კ., კ. ხახანაშვილისაგან დ. კასრაძის ლექციიდან შემოსული—1,750 მან., ვაჭარ-მრეწველთა მთავარ კომიტეტისაგან—4,200,000 მან., მე-9 უბნის კომისარისაგან მის მიერ გამართულ საღამოს შემოსავალი—8,288 მ. 50 კ., სოფელ ბუშტაშენის მღვდლისაგან—109 მან., ქალ. დაწესებულებათა და ვაჭართა შორის შეგროვილი ეფ. ჩახუნაშვილის ხელით—61,597 მან. 50 კ., რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლში შეგროვილი მოსამსახურეთა შორის—675 მან., სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის ბიუროს თავმჯდომარისაგან—14255 მან. 50 კ., ღვინო გასტრონომიულ და საბაკალეინო პატრონთა კავშირისაგან—1,025 მან., ახალქალაქის სამაზრო დამხმარე კომიტეტისაგან—17,743 მანეთი, სულ—5,167,377 მან. 21 კ., წინათ შემოსულით—7,802,463 მან. 14 კ.

## სალამი მეჯლისს.

საქართველოს დამფ. კრ. პრეზიდიუმმა შემდეგი მისალმების დეპეშა გაუგზავნა სამუსილმანო საქართველოს წარმომადგენელთა კრებას: ბათუმი. მეჯლისის თავმჯდომარეს. საქართველოს დამფუძ. კრ. პრეზიდიუმი გულითად სალამს უძღვნის სამუსილმანო საქართველოს წარმომადგენელთა კრებას და მტკიცე რწმენას გამოსთქვამს, რომ მეჯლისი დედა საქართველოს და მისი განუყრელი ავტონომიური ნაწილის საერთო ინტერესების და დღევანდელი მძიმე მომენტის სრული შეგნებით შეასრულებს თავის დიად მოვალეობას და ვერავითარი ძალა ვერ გადაახვევინებს მას ერთხელ არჩეულ სწორ გზიდან და ვერ შეარყევს მუსულმან მოძმეთა მიერ გამოთქმულ მტკიცე ნების ყოფას.

დეე მეჯლისის ძლიერმა ხმამ ჩაჰკლას საქართველოს მტრების მუშაობა მიმართული საქართველოს დანაწილება და უბედურებისაკენ და ერთხელ და სამუდამოდ დაარწმუნოს ყველანი, რომ სამუსლიმანო საქართველო, სამშობლო საქართველოს განუყრელი ნაწილია და მათი უერთიერთმანეთოთ არსებობა შეუძლებელია. პრეზიდიუმი უსურვებს მეჯლისს ნაყოფიერ მუშაობას სამუსლიმანო საქართველოს კულტურულ აყვავება-აღორძინებაში.

## ბიბლიოგრაფიული შენიშვნები

**„სურათები თხუზულებისათვის“.**

გამოცემა სურათების ზღაპრებისა. ფასი 3 მ.

ალბომში მოთავსებულია სულ ორი სურათი: „მოისაზრეს“ და „მაჩვ-ზღარბა და მაიმუნები“. სურათებით თხზულებების წერა საუკეთესო საშუალებაა მოზარდის ფანტასტიური შემოქმედებისა და აზროვნების განსავითარებლად. ბავში ეჩვევა ფიქრს, მსჯელობას, აზრის მწყობრათ დალაგებას და სიამოვნებას ჰპოებს როცა მისი გონების შემოქმედების ნაყოფი თავისუფლად გადააქვს ქაღალდზე, რასაც პედაგოგიური თვალსაზრისით უაღრესი მნიშვნელობა აქვს; მაგრამ მეტი სიფრთხილე და შერჩევაა საჭირო ამ შემთხვევაში; თვითეული სურათი და მასში გამოხატული მოქმედება მისაწდომი უნდა იყოს ბავშვისათვის, მას ადვილად, ძალდაუტანებლად უნდა ჩასწვდეს მოზარდის გონება, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი სურათები სარგებლობის მაგიერ ზიანს მიაყენებს ბავშის გონების ნორმალურად განვითარებას: ის ვერ სძლევს სიძნელეს, რასაც შეუძლია ხელი შეუწყოს ბავშში უიმედობისა და უკმაყოფილების განვითარებას. სწორედ ამ მხრივ აქვს ნაკლი ალბომში მოთავსებულ სურათებს.

ეს პირველი გამოცემაა და ამისათვის ჩვენ ვფიქრობთ, რომ გამომცემელს უნდა ჰქონოდა მხედველობაში ბავშვის განვითარების პირველი ეტაპი (8—9 წლამდე); ეს ის ხანაა, როდესაც ბავშვის გონება ოჯახში, სკოლაში საერთოდ მახლობელ საგნების გარშემო ტრიალებს. და სწორედ სურათებიც ამ მახლობელ სინამდვილიდან უნდა იყოს ამოღებული. თორემ მიუწდომელ ღრე-კლდეში შველებისათვის საჭირო მოსაზრებას ბავშვის გონება ვერ მიწვდება; ის ამ ხანაში მხოლოდ შინაურ ცხოვრებასთან არის გაცნობილი; სისწორით, ძალდაუტანებლად შეუძლიათ დასწერონ მხოლოდ მათთვის ცნობილ საგნების შესახებ. მაჩვ-ზღარბა და მაიმუნების ოინებზე წერას ბავში ჯერ ვერ შესძლებს. გარდა ამისა სურათები შესაფერისი ფერადებით უნდა იყოს შეზავებული. ჩვენ არ ვიცით ვინ არის ხელმძღვანელი ამ გამომცემლობისა, მაგრამ იმის თქმა კი თამამად შეიძლება, რომ გამომცემელი ბავშვის სულიერი სალაროს, მისი პსიქოლოგიის მცოდნე არ უნდა იყოს, ასეთ სურათების შერჩევაში კი აუცილებლად საჭიროა პედაგოგიური ხელოვნება, უიმისოდ მიზანი მხოლოდ მიზნად დარჩება.

გამომცემლების მიზანი კი სიმპატიურია და ჩვენც ვუსურვებდით სწორი, სალი პედაგოგიურის გზის გამონახვას.

## ბათუმის ამბები

აპრილის 23 ბათომის ნავთსადგურიდან ევროპას წავა მარსელის ამხანაგობის გემი „ფრიაჟი“, რომელიც საქართველოდან სხვა და სხვა ნედლ მასალას წაიღებს.

— მომხმარებელ საზოგადოების წევრთა კრებამ 1919 წლის მოგებიდან პროფ. კავშირთა საბჭოს შესწირა სამი ათასი მანეთი, ქალაქის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს წიგნების სახით—10.000 მანეთი, გარადოკის და ბარცხანის სამკითხველოს ორ-ორი ათასი მან.

— 20 აპრილს შრომის ბირჟაში ჩაეწერა 22 უმუშევარი, მათ შორის ორი ქალი.

— მიწის ძვრისაგან დაზარალებულ გორელების დამხმარე ბათომის კომიტეტი ისევ განაგრძობს შემოწირულების შეგროვებას. კომიტეტი მოთავსებულია ქალაქის თვითმართმართველობის შენობაში.

— 20 აპრ., ბათომიდან კონსტანტინოპოლისაკენ წავიდა გემი „იტალია“.

## ბიულეტენი საქარ. ფიზ. ობსერვატორიის

**ტფილისი, 22 აპრილი 1920 წ.**

**ნაშუად. 1 საათ.** ჰაერის წოლა მმ.: 724.3; ჰაერის ტემპერატ.: 21.1; შეფარდებ. სინოტ. %: 40; მოღრუბლ.: 6; ქარი; NW 1; დედა მიწის ზენაპირ. ტემპერ.—მოშიშვლებ.: 48.6; ბუნებრივ.: 33.4.

**საღამ. 9 საათ.**: ჰაერის წოლა მმ.: 726.2; ჰაერის ტემპერ.: 17.3; შეფარდებ. სინოტ. %: 49; მოღრუბლ.: 10; ქარი: WSW7; დედა მიწის ზენაპირ. ტემპერ. მოშიშვლებ.: 15.1; —ბუნებრივ.: 13.4 ჰაერის საშუალო ტემპერატ. 22 აპრილი: 16.3; ნორმალი: 12.4; მაქსიმალი: 24.6; მინიმალი: 7.8.

**დილ. 7 საათ. 23 აპრილი.** ჰაერის წოლა მმ.: 729.6; ჰაერის ტემპერ. 13.9; შეფარდებ. სინოტივ. %: 84; მოღრუბლ.: 10; ქარი: S 4; დედა მიწის ზენაპირ. ტემპერ.—მოშიშვლებ.: 20.0; ბუნებრივ.: 20.4; ატმოსფერის ნალექი.: მმ.: 1.4 შენიშვნა:—

წვიმა საღამ.. ღამ.

**დილ. 7 საათ., 22 აპრილი 1920 წ.**

| დაკვირვების ადგილი | ჰაერის ტემპერ. | მინიმალ. ტემპერ. | ნალექი მმ. | ქარი | ძლიერი ღელვა. |
|---|---|---|---|---|---|
| ტფილ. | 10.5 | — | — | 0 | — |
| ბორჯომი | 3.2 | 2 | — | — | — |
| ფოთი | 14.2 | 10 | — | ENE 3 | 0 |
| სოხუმი | 13.5 | 10 | — | 0 | 0 |
| გაგრი [1] | 11.4 | 9 | 1 | — | 0 |

**შენიშვნა:** [1]) წვიმა დღით.


## განცხადებანი

დაიკრგა ფეხსაცმელების წმენდის ნებართვა მიცემული ტფ. ქალაქის გამგეობისაგან ბაბოილიას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 693 3—2

დაიკარგა სალექციო წიგნაკი ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტიდან მიღებული ნადეჟდა სერგის ასული ჰიჰინაძისა. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 697 3—2

დაკარგულია უვადო პასპორტი № 489 მიღებული ქ. კანლოვის 1 კომისარიატიდან 1918 წ. 1 თებერვალს და მოწმობა იურიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაქულტეტის ოთხი კურსის დამთავრების № 4562 ილექსი ფედოტის ძე ორლოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 698 3—2

სიმონ პავლეს ძე გონჯილაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოსეს ხითაროვისაგან მიწის ყიდვის მოწმობა 1918 წ. ვინტოვკისა და ნაგანის ტარების ნებართვა, მიღებული თიონეთის მაზრის ტყის გამგისაგან და ტყის მცველის მოწმობა. გაუქმებულად ჩაითვალოს. 728 3—3

დაიკარგა რვა სულის პასპორტი № 4501 მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან არტემ რამაზის ძე ოქროსცვარიძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 727 3—3

დავკარგე სამხედრო სამსახურში გასაწვევი მოწმობა № 32 მოცემული მესამე კომისარიატიდან 16 მარტს, ნპოლონ იესეს ძე თოდრიას სახელზე, რომელსაც ვთვლი დღეიდან გაუქმებულათ. 750 3—2

დაიკარგა პასპორტი ალექსანდრა პეტრეს ასული კუზნეცოვის სახელზე, მიღებული ტფ. სისხლის სამართლის მილიციის სამმართველოდან 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 743 3—2

დაიკარგა პასპორტი სალომე დიმიტრის ასული ჩერქეზოვის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტერის სამმართველოდან. პასპორტში მოხსენებული არიან შვილები ელენე და ნინო. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 744 3—2

დაკარგულია პასპორტი და ბათუმში მგზავრობის ნებართვა, სარქის იაგორის ძე ანტონიანცის სახელზე, მიღებული სომხეთის წარმომადგენელისაგან ბათუმში. გაუქმებულათ ჩაითვალოს 695 3—3

დაიკარგა ნიკოლოზ გიორგის ძე ქუჩუკაშვილის, გრეჩეჩნი შესახვევში № 14 მდებარე, სახლის დავთარი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 696 3—3

ალა ალიას ძე ალა უსეინოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საოჯახო პასპორტი, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან 1907 წ. და მოწმობა, რომ ის ასრულებდა მუსულმანთა კორპუსში ნივთების საწყობის გამგის თანაშემწის თანამდებობას. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 729 3—3

დაიკარგა პასპორტი სერგეი ალექსის ძე როდინის სახელზე, მიღებული რუსების ნაციონალურ საბჭოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. (უფ) 3—3

დაიკარგა ტრამოთ მგზავრობისვაიზე უფაბილეთი № 418, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან და შვიდი სულის სასურსათო წიგნაკი № 22566 სიმონ ზაალის ძე ბილანიშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 738 3—3

დაიკარგა სასურსათო ფონდიდან პურის მიღების შვიდი სულის მოწმობა № 22413. არტაშ მარტიროსოვის სახელზე გაუქმებულად ჩაითვლება. 734 3—3

დაიკარგა პასპორტი № 300 აკაკი ამაშუკელის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 712 3—2

სილვესტრ ვასილის ძე კვაჩაძე აცხადებს, რომ მან დაკარგა საბინაო დავთარი მისი სახლის, რომელიც მდებარეობს ყიფიანის ქ., № 13. 752 3—2

დაკარგულია საბარგო კვიტანციები №№ 28173, 28178 და 28188 და ანგარიშები ფართლისა და საგალანტერეინო საქონლის ბაგდან სერგის ძე ოგაჯანოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 73 3—3

დაკარგულია სასურსათო ბარათი გაცემული შრომის სამინისტროს, მუშათა მაგიდიდან, მაქსიმე ზაქარიას ძე გაბაშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. (უფ.) 3—1

დაიკარგა სამი მდინარე მტკვარზე თევზაობის ხელშეკრულება მოიჯარადრე სარქის ალექსის ძე კაკოიანცის სახელზე, რომელთაგან ერთი იყო დადებული ტფ. სამაზ. ერობასთან და ორი კი საქ. რესპ. მიწათ მოქმედ. სამინისტროსთან 1920 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 759 3—1

დაიკარგა ტერ სტეფანოვის გიმნაზიის ოთხი კლასის დამთავრების მოწმობა ფადეი მარტინის ძე კოზელკევიჩის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 758 3—1

დაიკარგა საზღვარ გარეთის პასპორტი № 277 ანნა მიხეილის ასულ ტენნოს სახელზე, მიცემული ესტონეთის წარმომადგენლისაგან საქართველოში. გაუქმებულად ჩაითვლება. 735 3—3

დაკარგულია ადმინისტრაციის ორი მოწმობა სავ. სახ. „ძმ. ცოვიანოვების“ საქმ. შესახებ. ერთი მიღებული 1910 წ. ოქტომბრ. 25-ს № 42, 456 მან. მიხეილ ბაგრატის ძე ცოვიანოვის სახელზე და მეორე № 43 1894 მან. ლუბა სტეფანეს ასულის ცოვიანოვას მემკვიდრის მიხეილ ბაგრატის ძე ცოვიანოვის სახელზე. მოწმობები გაუქმებულათ ჩაითვალოს. 737 3—3

ესტატე ივანეს ძე გრიგოლავა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ატესტატი ხონის საოსტატო სემინარიიდან მოცემული, რაც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 753 3—2

დაიკარგა პასპორტი ერმილე ლევანის ძე ქარსელაძის სახელზე, მიცემული ლეჩხუმის მაზრის ლაილაშის კომისარიატიდან და აგრეთვე პირადობის მოწმობა, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 739 3—2

დაიკარგა კერძო ლომბარდის ბილეთი № 87783—50 მანეთის. გაუქმებულათ ჩაითვალოს. (უფ). 3—2

დაიკარგა სახლის წიგნი არკადი ნაზარის ძე მილოვისა 3-კომ. დავითის შესახვევი № 6. გაუქმებულად ჩაითვალოს. 748 3—2

დაიკარგა პასპორტი მიღებული ბახვის თემიდან და სხვა და სხვა საჭირო კვიტანციები ალექსანდრე სამუილის ძე სოსელიას სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 767 3—1

## ლანჩხუთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ კვირას, 2 ამა მაისს, დილის 10 საათზე, ბანკის შენობაში, დანიშნულია ზემოხსენებულ საზოგადოების

## წევრთა წლიური კრება

შემდეგი საკითხების გასარჩევათ:

1. გასული წლის ანგარიშების განხილვა და დამტკიცება.
2. ამა 1920 წ. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
3. არჩევა სამი სარევიზიო კომისიის წევრების და სამი მათი კანდიდატების.
4. სხვა და სხვა კითხვები.

თუ რაიმე მიზეზით, დანიშნულ დღეს, 2 მაისს, პირველი კრება არ შესდგა, იმ შემთხვევაში, მეორე კრება, ინიშნება კვირას, 16 ამავე მაისს, იმავე დროს, იმავე ადგილზე ზემოაღნიშნული კითხვების განსახილველად, რომელიც ჩაითვლება კანონიერათ, მიუხედავად დამსწრე წევრთა რაოდენობისა. 447 2—1

## ქართველ მომღერალთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობა

იწვევს კავშირის წევრთა

## საზოგადო კრებას

25 აპრილს ამა წელს დღისით 12 საათზედ კავშირის ბინაზე, პეტრე დიდის ქუჩა № 8.

**განსახილველია შემდეგი კითხვები:**

1. საორგანიზაციო კითხვები. 2. წევრთა არჩევა გამგეობაში. 3. საერთოდ მუსიკალურ და საოპერო საქმის დაყენება საქართველოში. ვინაიდან კითხვები ფრიად საყურადღებოა, ვსთხოვ ყველა კავშირის წევრებს გამოცხადდენ აღნიშნულ დროს. 765 3—1


სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. ალმ. გრიგოლ მაჭავარიანი.